

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

XVI თავი

აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები და ანტიპლაგის პროგრამა

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ)

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განმარტავს (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 2**) ამავე წესში და ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს, მათ შორის პლაგიატის მნიშვნელობას და ანტიპლაგის პროგრამის შესახებ, კერძოდ:

პლაგიატი - აკადემიური არაკეთილსინდისიერება. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ განისაზღვრება ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები;

ანტიპლაგის პროგრამა - Moodle ელექტრონული სწავლების პლატფორმასთან ინტეგრირებული, ნაშრომის ორიგინალობის შეფასების/სხვა ნაშრომთან მსგავსების გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა (შემდეგში - ტურნიტინი/Turnitin). აღნიშნული პროგრამის მართვა/ოპერირება ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N33**).

ბსუ სარგებლობს ანტიპლაგის პროგრამით (ტურნიტინი/Turnitin), რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს შეამოწმოს სტუდენტთა ნაშრომები შესაძლო ტექსტუალური დამთხვევების თაობაზე, ინტერნეტში არსებული რესურსებისა და საკუთარი მონაცემთა ბაზის მიხედვით.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ეთიკის კოდექსის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 7**) თანახმად ბსუ-ს სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის ერთ-ერთი ვალდებულებაა გამოავლინოს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევა (არსებობის შემთხვევაში), კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვლიოს გამომწვევი მიზეზი და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედების აღსაკვეთად.